კონკურსი–კლაუზურა თემაზე: საზოგადოებრივი სივრცე, როგორც კომუნიკაცია

2018 წლის 5 ოქტომბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა კლაუზურა–კონკურსი თემაზე: საზოგადოებრივი სივრცე, როგორც კომუნიკაცია

კლაუზურის მიზანი იყო იმ სტუდენტთა გამოვლენა, რომლებიც მონაწილეობას მიირებენ ექსპერიმენტულ სასწავლო კურსს, რომელიც ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად ამოქმედდა ფაკულტეტზე 9 ოქტომბრიდან. ექსპერიმენული კურსის ფარგლებში სტუდენტები იმუშავებენ რეალურ საპროექტო დავალებაზე.








სუფთაღლოვრივი სივრცე, ჩოგორც ეროვნიკასია





2018 01 ოქტომბერს, ჩატარდა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სტუდენტურ კონკურსსა და ექსპერიმენტულ კურსში მონაწილეობის მსურველ სტუდენტებთან. შეხვედრის ფარგლებში არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანმა ქალბატონმა ნინო იმნაძემ და პროექტის ორგანიზატორმა ანა ბიბილაშვილმა სტუდენტებს გააცნო ზოგადი ინფორმაცია კურსის შესახებ, კურსის ამოცანები, მიზნები და გეგმები. ასევე ინფორმაცია საკონკურსო პროექტისა და შესარჩევი კლაუზურის თემის ირგვლივ.

დაიგეგმა შესარჩევი კლაუზურის ჩატარების დრო: 2018 წლის 05 ოქტომბერი, 11:00 საათი, კლაუზურის ხანგრძლივობა: 5 საათი, თემა: "საზოგადოებრივი სივრცე, როგორც კომუნიკაცია".

2018 წლის 8, 9, 10 ოქტომბერს მიმდინარეობდა კლაუზურა–კონკურსის ნამუშევრების განხილვა. თვითოეულმა სტუდენტმა კომისიის წინაშე გააკეთა საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაცია. ნამუსევრები კომისიის მიერ პროექტები განხილული იყო ოთხი მიმართულებით: კონცეპტუალური, რეალური, გრაფიკულად მაღალ დონეზე შესრულებული, მაგრამ ნაკლებად პასუხობს დავალებას და ნამუშევრები, რომლებიც არ შეესაბამება დავალებას. თუმცა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პრეზენტაციის წარმოდგენის უნარს, რამაც საბოოლოოდ გადამწყვეტი როლი შეასრულა ნამუშევრების შერჩევისას. კომისიის გააწყვეტილებით ყველა სტუდენტი ჩართვება ექსპერიმენტულ სასწავლო კურსში.

ორშაბათს, 2018 წლის 22 ოქტომბერს, სტუდენტური კონკურსის ფარგლებში დაგეგმილია ვიზიტი და ვორქშოფი ქ. რუსთავში, ქ. რუსთავის მერიის მხარდაჭერით.